№ 205
ხუთშაბათი, 21 სექტემბერი, 1900 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მ. კ.	თვე	მ. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	6 25	2	2 75
7	7 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1900

ივერია

№ 205
ხუთშაბათი, 21 სექტემბერი, 1900 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

აბრეშუმის ქსოვილები

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა.—**ცხვირსახოცები, შარფები,** თეთრი და ფერადი ქსოვილები **ქალისა და კაცის** ტანისამოსისათვის როგორც **საპირე,** ისე **სარჩულები.** იყიდება ქუთაისში, წერეთლის წიგნის მაღაზიაში თოფობითა და ნაჭრობით.

(50—ნ.—25) მმარ. ამხ. ნ. წერეთელი

სკოლა და პანსიონი
ა. მამულაიშვილისა

ამზადებს ბავშვებს სხვა-და-სხვა სასწავლებლისათვის.

ოლგის ქუჩა (Ольгинская), სახლი დრობიშევისა, (10—188—1)

ტფილისის კერძო სამკურნალო
მკურნალის
მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

მ. ა. პოკროვსკი—შინაგანი, ბავშვებისა, (ყვავილის აცრა) და ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი 10—11 საათ.

ნ. ა. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—2-მდის.

ვ. გ. წერეთელი—შინაგანი და ბავშვებისა—11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12½—1½ საათ.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 12—1 საათ.

ვ. ლ. მარკევიჩი, სადოსტაქრო.—12½—1½ საათ. სამშაბათობით 3—4.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი**

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

გ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ჟ. ე. ჩიქოვანი. 9—10 სათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ი. თ. პროტასევიჩი. 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. თ. პროტასევიჩი—5—6 საათამდე.

ა. ნ. შპაკოვსკი.—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

გ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 საათ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არვანიტაკი—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардiана.
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

ახალი ამბავი

⁂ კავკასიის სამთო სამმართველომ შეატყობინა კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას, რომ იგი თვისის მხრივ წინადადებას გაუგზავნის კავკასიის ყველა მთა-მადნების მრეწველთ, რომ მონაწილეობა მიიღონ კავკასიის მომავალ სამეურნეო სამრეწველო გამოფენაში; ხოლო სამართველო განსაკუთრებულს განყოფილებას ვერ იქონიებს, რადგანაც მის მოწყობას დასჭირდება 500 მან. და ეს ფული კი სამთო სამართველოს არა აქვსო.

⁂ შაბათს, 23 სექტემბერს, ქალაქის გამგეობის დარბაზში მოხდება შეერთებული სხდომა გამგეობისა და კომისიის წევრთა, რომელმაც უნდა განიხილოს ავჭალის ცხენის რკინის გზის კონცესიონერების განცხადება, რომ ჩვენი გზა ბელგიის უსახელო საზოგადოებას უნდა გადავცეთო.

⁂ ქალაქის ცხენის რკინის გზის ლიანდაგები სამეთვალყურეოდ განაწილებულ იქმნა რკინის გზის მეთვალყურე კომისიის წევრებს შორის ამ რიგად: ავჭალისა და მიხეილის პროსპექტის ლიანდაგს მუშტაიდამდე უნდა განაგებდეს წევრი ბ. პ. ვესელოვზოროვი; ერევნისას ვარანცოვამდე—ნ. ა. გრიქუროვი; რიყისას—გ. ა. სულხანოვი; ორთაჭალისას—ს. გ. მელიქ ნუბაროვი; ვერის დაღმართისას—გ. მ. ტერ-ასატუროვი; გოლოვინის პროსპექტისას—ი. ს. ალიხანოვი და ოლგის ქუჩის ლიანდაგს—ნ. ბ. არღუთინსკი.

⁂ სამშაბათს ქალაქის გამგეობის სადგომში სხდომა ჰქონდა ქალაქის ცხენის რკინის გზის მეთვალყურე გამგე კომისიას. სხდომაზედ აღიძრა ლაპარაკი რკინის გზის ლიანდაგის მეტად ცუდ მდგომარეობის შესახებ. კომისიამ დაადგინა სთხოვოს ქალაქის მოურავს წინადადება მისცეს უსახელო საზოგადოებას, რომ რკინის გზის ლიანდაგი ყველგან ჯეროვანად გასწორებულ-შეკეთებულ იქმნას; წინააღმდეგ შემთხვევაში თვით შეაკეთონ გზა უსახელო საზოგადოების საფასით. კომისიამ აგრეთვე ყურადღება მიაქცია ცხენის რკინის გზის მოსამსახურეთა ეხლანდელს მეტად უსუფთაოდ ჩაცმულობას და დაადგინა შეიმუშაონ წესი, რა სახის ტანისამოსს უნდა ატარებდნენ ისინი. კომისიის წევრმა ბ-ნ ვესელოვზოროვმა განაცხადა, რომ ყოველს ვაგონში გაკეთდეს პატარა ყუთები, იქვე იყოს ქაღალდი და კარანდაში, რომ მგზავრთ თვისი უკმაყოფილება დასწერონ ხოლმე და ამ ყუთებში ჩააგდონო. ეს აზრი მოიწონა კომისიამ და დაავალა ბ-ნს ვესელოვზოროვს შეიმუშაოს ეს საგანი და შემდეგ მოხსენება წარმოუდგინოს კომისიას. ამას გარდა კომისიამ აგრეთვე დააჯარიმა უსახელო საზოგადოება და ავჭალის რკინის გზის კონცესიონერები ხუთ-ხუთის მანეთით ლიანდაგის მოურწყავად დაგვისათვის. კომისიამ განიხილა აგრეთვე ტეხნიკოსის ბ-ნ შახნაზაროვის მოხსენება ერევნის მოედნის ცხენის რკინის გზის სადგურის დაძველების შესახებ, რომელიც იმდენად დაზიანებული ყოფილა, რომ საშიშოა თურმე იმაში დგომა, და დაადგინა სთხოვონ ქალაქის ინჟენერს ოქმი შეადგინოს ამ საქმის შესახებ.

⁂ სასულიერო უწყება ამ ჟამად იმის შემუშავებას შესდგომია, თუ სასულიერო აკადემიებსა, სემინარიებსა და სასწავლებლებში სწავლების საზოგადო გეგმა რა რიგ შესცვალოს. განზრახვა აქვთ სასულიერო აკადემიებში საფიზიკო-სამათემატიკო განყოფილებანი დააარსონ, სადაც სასულიერო სასწავლებლებისათვის მასწავლებელნი მომზადდებიან და ძველის ენების პროგრამაც შეამოკლონ.

⁂ საერო განათლების სამინისტრომ განმარტა, რომ ებრაელთა საშაბათო სკოლებშიაც იგივე წესები უნდა იქმნას მიღებული, როგორიც საკვირაო სკოლებშია შემოღებულიო.

⁂ სავაჭრო და სამანუფაქტურო დეპარტამენტში ლაპარაკია აღძრული ამ ჟამად, რომ სანოვაგის გასასინჯადა და გამოსაკვლევად განსაკუთრებული დაწესებულებანი იქმნან დაარსებულნი. ამ დაწესებულე-

ფელეტონი

ციური ცვარი

(ფანტაზია ქ-ნ ლ. ვ. ბლაგონოვსკისა)

კიდევ მოვიდა გაზაფხული... მზე კიდევ ალერსიანად და ნაზად აფრქვევდა თავისს საკვირველ, განმაცოცხლებელ სხივებს დედა-მიწას, რომელიც მთლად გამოიცვალა, აყვავდა, აკეთილ-სუნნელდა, გამოიღვიძა რა ზამთრის ხანგრძლივის ძილისაგან. კარგი იყო ამ ადრეულ გაზაფხულის დილა ტყეში. ხეები, უკვე შემოსილნი მწვანე ნორჩ-ფოთლებით, რომლებზედაც დილის ნამის ცვარი ელავდა, მხიარულად იდგნენ თავისს საგაზაფხულო მორთულობაში. აქა-იქ გარეული ვაშლი და ალუბალი აყვავებულიყო, რომლებიც განირჩეოდნენ სხვა მწვანე ნორჩ-ხეებისაგან და გაზაფხულის ჰაერს თავისს ნაზს, დამათრობელ სუნნელებასაც ჰმატებნენ. სქელი, მწვანე ბალახი ჯერ კიდევ გაუთელავი ადამიანისა, თუ მხეცისგან, მშვენიერ ხავერდის ნოხსავით გადაჰკვროდა მიწას. ბალახიდგან მოკრძალებით და მშვიდად გამოიყურებოდნენ ცის ფერი იები, გაზაფხულის ეს საკვირველი ყვავილები. ერთი მათგანი, რომელიც უფრო ცოტად იყო დამალული ბალახებით და დაახლოვებული იყო მზის ალერსთან, განსაკუთრებით საყვარლად იყო გაშლილი და ეხლა სხვა ყვავილებთან ერთად თვისს ნაზს თავს იწევდა მზისკენ, რომელიც საოცარის ელვარებით ათამაშებდა ყვავილის შუაგულში მყოფს მარგალიტივით ნამს. ეს ბრჭყვიალა დიდი ნამი მძიმე იყო იასთვის, მაგრამ იგი სრულიადაც არ იხრებოდა წელში, რადგანაც ეშინოდა, რომ არ ჩამოვარდნოდა ძირს და არ მოშორებოდა ეს საკვირველი, მისი განმაცოცხლებელი და განმაახლებელი მორთულობა, რომელიც მას ისე ძალზედ უყვარდა... ყველა ყვავილებს უყვარდა დილის ნამი, მუდამ მოუთმენლად მოელოდნენ ციურს ცვარს და მხიარულად უშლიდნენ მას თავიანთ სუნნელოვან ფოთლებს.

კარგი რამ იყო ტყეში!.. საოცრად კარგი!.. ამას მოგვითხრობდნენ ფრინველნი, რომელნიც სიხარულით დახტოდნენ ერთის ტოტიდგან მეორეზედ; ამას ამბობდნენ მხიარული ჭრელი პეპლები; რომლებიც კოხტად ისწორებდნენ თვისს ფრთებს; ბალახში მოფუსფუსე ჭიები და ჭიანჭველები,—ყველა, ყველა ცოცხალი ამბობდა ამას...

ია გაჩუმებულიყო... კარგს გუნებაზე იყო. მთელის თვისის არსებით ისუნთქავდა ამ ნათელ გაზაფხულის ბუნების მშვენიერებას, რომელიც ასე უხვად, ასე ალერსიანად უხსნიდა თვისს შემძლებელ მკერდს. ის აქ აღიზარდა, სქელ-ბალახში, გამდლებად მზე და წყალი ჰყავდა; სხვა ფიქრი, სხვა სურვილი, საზრუნავი და მისწრაფება არა ჰქონდა-რა...

არ იცოდა, რომ არსებობს სხვა სიცოცხლეც და ასე ჰფიქრობდა, რომ მთელი ქვეყანაც ისეთი მშვენიერია, როგორც ის საოცარი კუთხე, სადაც მე ვიყავიო, და რომ ყველა ცოცხალი ისევე ბედნიერია, როგორც მეო!..

კარგი რამ იყო ტყეში!..სიჩუმე... სიმშვიდე... ხეები თითქოს დამთვრალისავით იდგნენ და ფოთლებსაც კი აღარ არძრევდნენ, თითქოს ეშინოდათ, არ დაერღვიათ მყუდროება, რომელშიაც იქნება გაისმოდა გაზაფხულის საკვირველი მარტო და მარტო მათგან დაფასებული და ნაგრძნობი მელოდია...

დიდხანს მეფობდა ეს არაფრით დარღვეული სიჩუმე; იამ დახარა თვისი ცისფერი თავი, თითქოს მომხიბლველ სიზმრებს მიეცა ძილშიო... უცებ გამოურკვეველი ხმა მოისმა... ბალახებში დამალულმა ფრინველმა შიშით გადაიფრთხიალა გვერდით, მახლობელ ბუჩქიდგან პეპელა აფრინდა, მწვანე ხვლიკი უეცრად სადღაც მიიმალა, ჭიანჭველები აირივნენ, გონება დაბნეულნი აქეთ-იქით ეხეთქებოდნენ,—და აქ უეცრივ იამ დაინახა რამდენსამე ნაბიჯზედ უცხო და თავისს თავთან შედარებით ვეებერთელა არსება... მას არასოდეს ამ გვარი არა ენახა რა და შიშისაგან ათრთოლდა, როდესაც ეს არსება მისკენ დაიხარა.. ეს იყო ადამიანი, ეს იყო ქალწული... თითქოს ბურუსშიაო, ია ისე ჰხედავდა თავის წინ თეთრ, როგორც ზამბახის ფოთლებია, ტანისამოსს, ღრუბელსავით სუბუქ თმას და ნაზს, ფერ-მკრთალს სახეს მიბნედილის თვალებით. არეულად ჰხედავდა იგი, რომ გაიწოდა მისკენ თეთრი, გამსჭვირვალი ხელი და... მეტი აღარა ახსოვდა-რა, რადგანაც მოულოდნელად საშინელი ტკივილი იგრძნო და გრძნობა დაჰკარგა. როდესაც გონს მოვიდა, მიხვდა, რომ იგი დედა-მიწაზედ აღარ არის, ხელში უჭირავს ქალწულს და ჰგრძნობს მის ცხელს სუნთქვას; მან დაინახა ახლო, თითქმის თავისს თანასწორ მწვანე ხეები, ისე მაღლები რომ ეჩვენებოდნენ, როდესაც იგი ჯერ მოწყვეტილი არ იყო... მოწყვეტილი... მოკლული...ია ეხლაც ჰგრძნობდა თვისს არსებაში საოცრად მტან-

ბათ უფლება ექნებათ ყველა სანოვაგის სავაჭრო სახლებს კანტროლი უყონ ხოლმე და, თუ რაიმე სიყალბეს აღმოაჩენენ, სათანადო უწყებას აცნობონ.

⁂ ს. ზემო-ქალის და ხაშურ ს დეკანოზს მამა მათე სუხიაშვილს გამოუგზავნია ყოვლად უსამღვდელოესის გორის ეპისკოპოსის კირიონისათვის ასი მანეთი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გადასაცემად. ეს შესაწირავი ყოვლად სამღვდელო კირიონმა უკვე გარდასცა საზოგადოებასა. იმავე დეკანოზს ყოვლად სამღვდელო კირიონისათვის აღუთქვამს, ოცს თუმანს იმ სკოლას შევსწირავ, რომლის დაარსებაც დაბა ცხინვალშია განზრახულიო. ჭეშმარიტად, კეთილი მოვლენაა ჩვენში სამღვდელოების მხრივ ასეთი შეწირულებანი.

⁂ ამ წელს პეტერბურგის უნივერსიტეტში მხოლოდ 800 ახალგაზდა მიუღიათ პირველს კურსზედ, მაშინ როდესაც წინა წლებში ხშირად ათასზედ მეტი გიმნაზია-დამთავრებული ახალგაზდა შედიოდა ყოველ წლივ. ეს გარემოება მხოლოდ იმითი აიხსნება, რომ ამ ბოლოს დროს მთავრობამ სამხრეთ და შორეულ რუსეთიდგანა და აგრეთვე კავკასიიდგან ახლად სწავლა-დამთავრებულთა პეტერბურგის უნივერსიტეტში შესვლა აკრძალა.

⁂ საერო განათლების სამინისტროს განზრახვა აქვს რუსეთის ყველა უნივერსიტეტში განსაკუთრებული კათედრები დააარსოს საფიზიკო-გეოგრაფიისა და მეტეოროლოგიის შესასწავლად. ამ ჟამად ასეთი კათედრა მხოლოდ მოსკოვისა და იურიევის უნივერსიტეტშია დაარსებული.

⁂ როგორც ხმა ისმის, ველაბარში ცხენის რკინის გზის ლიანდაგის გაყვანას ამ შემოდგომიდგანვე თურმე შეუდგებიან.

⁂ საქართველოს საექსარხოსოს სამრევლო-საეკლესიო და წერა-კითხვის გამავრცელებელ სკოლებისათვის დამდეგ 1901 წ. ადგილობრივ საერობო თანხიდგან 12,300 მან. დანიშნული, რომელიც ასე იქმნება განაწილებული გუბერნიებზედ: ტფილისის გუბერნიის სკოლებს მოეხმარდება 2,100 მან., ქუთაისისას—3,300 მან., ერევნისას—1,800 მან., განჯისას 1,500 მან., ბაქოსას 3,000 მან. და ყარსისას 600 მან. გარდა ამისა ამავე აზრით აღნიშნულ თანხიდგანვე იქმნება გადადებული 5,000 მან., რომელსაც თითონ საექსარხოსო დანიშნავს სხვა-და-სხვა სკოლის საჭიროებისათვის.

⁂ გუშინ, 20 სექტემბერს, ტფილის ს ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე ბორჩალოს მაზრის სოფ. ახოს მცხოვრების მათე სოსიას ძის ბოლხვაძისა, რომელსაც ის ბრალი ედებოდა, რომ მან, როგორც მომჩივანს ისაკ კოსტანდოვს განუცხადებია, 22 აპრილს ამა წლისას დახია თურმე შინაური ხელშეკრულობა, რომლითაც ქირით დაუჭერია დუქანი სარდაფით და რომელშიაც ნათქვამი ყოფილა, რომ ვინც ხელშეკრულებას დაარღვევს, 200 მანეთი უნდა გარდაიხადოსო. ბოლხვაძეს იმიტომ დაუხევია ხელ-შეკრულობა, რათა პირობის დარღვევისათვის 200 მან. გარდახდა აეცილებინა თავიდგან. ბოლხვაძემ განაცხადა, რომ პირობა მე არ დამიხევია, რადგანაც იგი თვით კოსტანდოვმა დაარღვია მით, რომ დღესაც სადუქნე სახლი მომზადებული არა აქვსო. ოლქის სასამართლომ დამნაშავედ იცნო მათე სოსიას ძე ბოლხვაძე და გარდაუწყვიტა ყოველსავე უფლება-უპირატესობის ჩამორთმევა და 2 თვის ვადით ციხეში დაპატიმრება.

⁂ სოფ. ახალ ქალა (ლეჩხუმის მაზრა). ჩვენი მივარდნილი და მიყრუებული ლეჩხუმიც არ ივიწყებს თვისთა საუკეთესო შვილთა ღვაწლსა სამწერლო ასპარეზზედ. ლეჩხუმის მაზრის თავად აზნაურთა წინამძღოლის თავადის იასონ გელოვანის თაოსნობით ილია ხონელის (ბახტაძის) უდროვოდ გარდაცვალების შემდეგ ორმოცი დღის შესრულების გამო გარდახდილ იქმნა პანაშვიდი განსვენებულის ნიჭიერ მწერლის სულის მოსახსენებლად. ხალხი ბლომად დაესწრო.

⁂ ტფილისის სამოსამართლო პალატის უფროსი თავმჯდომარე მ. ს. ვერასსკი უკვე დაბრუნდა ტფილისში და თავისს თანამდებობის აღსრულებას შეუდგა.

⁂ სამშაბათს, 19 სექტემბერს, პოლიციის მე 4 ნაწილში თამარაშვილის ქუჩაზედ გაუტეხიათ სახლი შაქრო ნათაძისა; მაგრამ რადგანაც სახლის პატრონები ამ ჟამად სოფელში ყოფილან, პოლიციას ვერ გამოურკვევია, თუ ქურდებს რა წაუღიათ ნათაძ ს სახლიდგან.

ფრინველების მომშენებელთა კრება დაბა ხობში

(ზუგდიდის მაზრაში)

ხობის ორ-კლასიან ნორმალურ სასწავლებლის ზედამხედველმა ბ ნ ვლადიმერ იესეს ძე გაგუამ რუსეთის ფრინველთა მომშენებელ საზოგადოების ქუთაისის განყოფილების საბჭოში თხოვნა შემოიტანა, რომელშიაც ბ-ნმა გაგუამ აუწერა მას სამეურნეო ფრინველების უკიდურესი მდგომარეობა ზუგდიდის მაზრაში, მისი მნიშვნელობა საზოგადოებისათვის და, როგორც წარმომადგენელმა ამ მაზრის საზოგადოებისა, მან სთხოვა საბჭოს შემწეობა აღმოუჩინოს საზოგადოებასა და ხობის სასწავლებელთან საფრინველო გააკეთოს თავისს ხარჯით, გამოუგზავნოს ფრინველები და დააარსოს მეთვალყურე კომიტეტი, როგორც ს. კულაშში.

საბჭომ 14 აგვისტოს, მიიღო რა თხოვნა ბ ნის გაგუასი, მის აზრს სიამოვნებით შეეგება და გარდასწყვიტა ბ ნ გაგუას თხოვნა შეესრულოს, რომლის განხორციელებაც განყოფილების მდივანს ნ. მკურნალს მიანდო. ამ უკანასკნელმა მაზრის უფროსის შემწეობითა და ხობის პოლიციის ბოქაულის ბ-ნის დალაქიშვილის თანადასწრებით 8 სექტემბერს მოახდინა რედუთ-კალეს ნაწილის ფრინველების მომშენებელ წარმომადგენელთა კრება, რომელსაც დაესწრო 320-ზე კაცი. სანამდის კრება ოფიციალურად გაიხსნებოდა, ადგილობრივმა აზნაურმა ბ-ნმა ი. გ. ჟორჟიკიამ აუხსნა საზოგადოებას, თუ რა მოსავალი მოელის ამ სხდომას და რანაირად უნდა შეეგებოს იგი ამ ბედნიერს მოვლენას. შემდეგ განყოფილების წარმომადგენელმა წაიკითხა ბ-ნის ვ. გაგუას ქების ფურცელი, რომელიც სასწავლებელმა მიიღო ბოსტნეულობის წარმოდგენისათვის ქუთაისის სამეურნეო გამოფენაზე 1899 წელს და სთხოვა საზოგადოებას ამოირჩიოს თავმჯდომარე და მდივნები. თავმჯდომარედ ერთხმად იქმნა ამორჩეული ბ-ნი ივანე ჟორჟიკია, ხოლო მდივნებად ხობის სასწავლებლის მასწავლებლები. ამ კრებაზედ, სხვათა შორის, ახსნილი იყო დანიშნულება ბ ნის გაგუასი, როგორც ისეთი პირისა, რომელსაც ქუთაისის განყოფილებიდგან მიენდო წარმომადგენლობა და აგრეთვე სამეურნეო ფრინველების მოვლა მოშენების ცოდნის გავრცელება რედუთ კალეს ნაწილში. კრებაზედ შემდეგი კითხვები აღიძრა:

ა) საჭიროა თუ არა გაუმჯობესება ადგილობრივის ფრინველებისა, ბ) გავრცელდეს თუ არა უცხო ჯიშის ფრინველები, გ) სასურველია სყიდვა-გასყიდვა ფრინველებისა, ბუმბულისა და კვერცხების პირდაპირ უცხო ქვეყნების ფირმებთან ვიქონიოთ თუ არა?

საზოგადოდ ის სურვილი გამოითქვა, რომ ადგილობრივი ფრინველების ჯიში გაუმჯობესდეს, ე. ი. მიემატოს მას სიმძიმე, კარგი ხორცი ექნეს და კვერცხების სიდიდესაც მიემატოს, როგორც ამას თხოულობენ უცხო ქვეყნებში; მაგრამ ამისათვის სრულებით საჭირო არ არის უცხო ჯიშის ფრინველების გავრცელება, რადგანაც ისინი ადგილობრივს ჰავას ვერ იტანენ. ყოველს შემთხვევაში ბ-ნ გაგუას აზრით საჭიროა და ისიც კისრულობს სცადოს რამოდენიმე სხვა ჯიშის ფრინველების ყოლა სასწავლებელთან მათის ავ-კარგობის ასახსნელად. მესამე კითხვა ერთხმად იქმნა მიღებული. ბოლოს ბ-ნმა გაგუამ წაუკითხა საზოგადოებას სია იმათი, რომლებიც სასურველნი არიან მეთვალყურე კომიტეტის წევრებად იქმნენ არჩეულნი. საპატიო წევრებად ამორჩეულ იქმნენ: კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი კ. პ. იანოვსკი, ვიცე-პრეზიდენტი კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისა უგანათლებულესი თავადი პ. ა. გრუზინსკი, გ. ნ. ბეევსკი, ა. ა. მიურატის ასული, ზუგდიდის მაზრის უფროსი კეკამოვი, ზუგდიდის თავად-აზნაურთა წინამძღოლი გ. კ. თავადი დადიანი, იონა მიხეილის ძე მეუნარგია, ქუთაისის სამეურნეო სასწავლებლის მმართველი გიორგი ი. ჟორჟიკია, ს. ბ. ჟორჟიკია და ბ-ნი პუშკარიოვი; ხობიდგან: ბ-ნნი ივანე და ალექსანდრე ჟორჟიკიები ოჯახობით, სიმონ ჟორჟიკია ქალიშვილით, ტარიელ და ალმასხან ჟორჟიკიები, კონსტანტინე ჟორჟიკია, ვანო ლოლუა ოჯახით, ბოქაული ბ ნი ყლენტი, მეუღლე პოლიციის ბოქაულისა ქ-ნი დალაქიშვილი, ბიჭია ჟორჟიკია, მღვდელი ნესტორ სასანია ოჯახით; ბიის საზოგადოებიდგან: ნიკოია სასანია, მღვდელი პროხორი იოსავა, სოლომონ იოსავა მეუღლით, ბეჟუა იოსავა მეუღლით, მიხეილ კოჩილიას ძე და მიხეილ ტაგუს ძე იოსავა (უკანასკნელი მეუღლით), გუჯუ იოსავა, გიგოია იოსავა მეუღლით, ლუკა და მაქსიმე შონიები და მოკია გედია; ნაჯიხვის საზოგადოებიდგან: მიზა ჩიტაია მეუღლით, ნიკო და კოზაია ჩიტაიები, კეორიმი ჩიტაია მეუღლით, სტეფანე ცხადაია (მასწავლებელი), ალექსი სიჭინავა, ნინო სიჭინავა (მასწავლებელი), ალექსი გერგაია, უარამან ობლოთია, ბეკოია და ძიკია გერგაიები, ჯუტუ ცხადაია, კოსტა ცხომარია, ბაცია ჩივავა; ს. ხობიდგან: სიმონი გერგაია, გუჯუ ქანთარია მეუღლით, იესე ქანთარია, ბურდღუ და ქუთარია ჩოჩუები, მურზა, სტეფანე და სოსრო თათარიშვილები, კონსტანტინე და კიმოთია ცხარიები; დაბა ხობის ვაჭრები: პავლე ცქირია მეუღლით, ბურღდუ ხუზია, მაქსიმე პააჭკორია, გერასიმე და ლევან ხუხიები, თენგიზ ქირთავა, ალექსანდრე კობახიძე, ანტონ ლოლუა, გახუ ხვიჩია, მათე კირია, ალექსი ნოდია, ალექსი ბერიშვილი, ერასტი პააჭკორია, ბაგრატ წულეისკირი, ნიკო გაგუა, სიმონ გადელია, აკაკი ჯიქია; ხეთის საზოგადოებიდგან: მუხრან, ფარნა და კოწია კობახიძეები, ნიკო ნაჭყეპია, მიხა ქორთუა, ესტატე შუშანია; ს. ცაიშიდგან: ოლღა მიხეილის ასული ჟორდანიასი, ნინო მეუნარგია, ზოსიმე მაქაცარია; ს. ხორგიდგან: პახვალა, დავით და ესტატე ლიფონავები, ესტატე ანთელავა, მასწავლებელი ქალი ჟორდანია, მღვდელი დათუაშვილი, ს. ქვალონიდგან: ალექსი და გერასიმე ლოლუაები, გრიგოლ ხოშტოლავა; ს. ხორბიდგან: მაქსიმე რეკვავა. გარდა ამისა წევრად და ფრინველების მოვლა-მოშენების მასწავლებლად დანიშნულია ბ-ნი ვლადიმერ იესეს ძე გაგუა და წევრად ნიკო თეოხარის ძე მკურნალი. სამის წლით ამორჩეულ იქმნენ: კომიტეტის თავმჯდომარედ ივანე ჟორჟიკია, მის ამხანაგად—ალექსანდრე ჟორჟიკია და მდივნად—ივანე ლოლუა.

ჯველ ტკივილსა და საშინელ სისუსტეს... მან გაიგო, რომ მოკლულია... და აი დამნაშავე-კი სულ ეს ქალწულია, რომლის თვალებიც ზედ დასცქერიან. იამ მარტო ეხლა გასინჯა ისინი. საოცრად ლამაზად ეჩვენა მას ეს დიდი თვალები ადამიანისა... ღრმანი, მოწყენილნი, რაღაც ნელის მუდარით ჩასჩერებოდნენ და იქნება არც-კი ჰხედავდნენ, საიდუმლო ფიქრებით აღსავსენი. ეტყობოდა, ქალწული რაღასაც იგონებდა... იქნება ეს მოგონებანი იამ აღუძრა!? ია ჰხედავდა, ქალწულის თავი როგორ იხრებოდა ძირ-ძირ, ტუჩები მაგრად ეკუმშებოდა და უფრო-და უფრო უკანკალებდა ხელი, რომელშიაც ის ეჭირა. უცბად გაკვირვებისაგან შეიძრა იგი: ქალწულის ღრმა თვალები უეცრად სისველემ მოიცვა, წყლით გაივსო და მალე ბრჭყვიალა, გამჭვირვალე ცვარი, ია ნაცნობი და ასე ნაზად საყვარელი, გადმოვარდა ქალწულის თვალიდგან და ჩამოგორდა ქვეით ფერ-მკრთალ ლოყაზედ. ცვარი ათას ფერად აჰრელა მზემ და საოცარს მარგალიტს დაამსგავსა, რომელსაც აღტაცებულმა იამ თვალი ვეღარ მოაშორა...

ბოლოს, როდესაც და ნახა, რომ ცვარი ძირს ჩამოვარდა, იამ ამოიოხრა. ოჰ! რა რიგ სურდა მას, რომ ეს საკვირველი ბჭყვრიალა ცვარი მას დასცემოდა! რა სიხარულით გაუშლიდა მას თვისს ნაზს-სურნელოვანს ფოთლებს და დამალავდა შიგ, ვით ძვირფასს თვალს... მაგრამ ია შორს იყო ქალწულის თვალთაგან და ცვარს არ შეეძლო ზედ დასცემოდა... კიდევ ბევრი ცვარები დაინახა იამ... დაინახა, როგორ შეიცვალა და გაბრწყინდა ქალწულის მკრთალი სახე, როგორ გამშვენიერდა, როდესაც მისი ღრმა, სველი თვალები შორეულ, მოწმენდილ ცისკენ მიიპყრნენ... თვალთაგან ცვართა დენამ ისეთ ნაირად იმატა, რომ ბოლოს დარუებულნი მორბოდნენ ლოყებზედ. ის ტკივილი და სისუსტე დაავიწყდა; იგი მარტო ცქერად გადაიქცა; მას თავისს დღეში ამგვარი რამ არა ენახა რა; არ ეგონა, თუ არსებობს სხვა სილამაზეც, მწერებისა და მცენარეების გარდა, და ამიტომ მოხიბლულ, აღტაცებულ და აღელვებულ იქმნა. შესცქეროდა ქალწულის თვალებს და სცდილობდა შეედარებინა ისინი იმ საგნებისათვის, რომელთაც უკვე იცნობდა. თვალები ხან ზეცის მსგავსად ეჩვენებოდა,—მისებრ ღრმანი, ნათელნი, თვისკენ მიმზიდველნი, თითქოს თვისს სიღრმეში იწოდებს მაცქერალსაო; ხან ვარსკვლავების მსგავსად, რომელთაც ასე ხშირად ესაყვარლებოდა ხოლმე იგი, მათის საოცარის ბრწყინვალებით აღტაცებული.

ია მხოლოდ მაშინ მოვიდა გრძნობაზედ, როდესაც ეს თვალები ქუთუთოებმა დაჰფარა და აღარ სჩანდა მათი სიღრმავე და ბრწყინვალება... ქალწულმა, შეჩერდა რა ერთს წუთს, საჩქაროდ დაიწყო ყვავილების კრეფა.

ია უცებ გაჩნდა მისს მსგავსთა უთვალავ ყვავილთა კრებაში, რომლებიც პირველად ტკივილისაგან მისებრ გონს დაჰკარგავდნენ ხოლმე, ხოლო როდესაც გრძნობაზედ მოვიდოდნენ, მოჰყვებოდნენ გმინვასა და უჩიოდნენ თვისს სვე-ბედს... ია არც ამტყუნებდა იმათ. იმათ არ ენახათ ის, რაც ამან ნახა, ისინი ისევ ის არაფრის მცოდნე ყვავილები იყვნენ, რომელთა სულიც არ იყო გამოღვიძებული მშვენიერ მოჩვენებით. ყველანი ზიზღით უცქეროდნენ ქალწულს და არაფერს მშვენიერებას არა ჰხედავდნენ მისს სახის ნაკვთებში და მართალიც იყო: მისი სახე თითქოს გაიყინა; მოკმუხნული წარბები, მოკუმული მკრთალი ტუჩები და ნახევრად დახუჭული თვალები ვერაფრად მშვენიერი სანახავი იყო... იგი თითქოს მარტო იმას სცდილობდა, რომ რაც შეიძლება ბევრი ყვავილი მოეკრიფა, ამ განზრახვით იგი სწრაფად იხრებოდა და უმატებდა და უმატებდა იებს თავისს თაიგულს. როდესაც იმდენი შეაგროვა, რომ ხელში აღარ დაეტია, ქალწულმა ჩააწყო ისინი დიდს ჩალის შლიაპაში და მერე მიჰყვა მისს გავსებას. ბოლოს მან ამოიოხრა, წელში გასწორდა და გახურებულს ოფლიანს შუბლზედ ხელი მოისვა. ერთის წუთის შემდეგ იგი გზას გაუდგა. რომელი იებიც მაღლა იყვნენ, მალე დაინახეს, რომ ტყე უკვე გათავდა და გამოჩნდა მწვანე, სწორე მინდორი, შემკული ბალახებითა და ყვავილებით... თვალებ ძირს დახრილი ქალწული გულ-გრილად მიდიოდა ბილიკზედ, რომელიც ბალახებში ოდნავ მოსჩანდა. იები, საწყალი სუნნელოვანი იები ჩალის შლიაპაში ეყარნენ... საბრალონი დაღლილნი და ღონე გამოლეულნი ეკვრებოდნენ ერთმანეთს და უკვე აღარას ჰკვნესოდნენ, აღარ უჩიოდნენ მწარე ხვედრს.

ჩვენი ნაცნობი ია სულ ბოლოში მოქცეულიყო; საწყალს ისე ძალზე აწვებოდნენ ზევიდგან სხვები, რომ გასრესვას ბევრი აღარ უკლდა. ისეთ სიბნელეში იყო, რომ არ შეეძლო დაენახა არც გზა, რომელზედაც მიდიოდნენ, და არც მისი მი-

მაშასადამე, ამიერიდგან ქუთაისის გუბერნიაში არის დაარსებული ორი კომიტეტი — კულაშისა და რედუთ-კალესი, რომლებიდგანაც უკანასკნელი წარმოადგენს უდიდესს შეერთებულს ძალას. აქ მონაწილეობას იღებენ: მასწავლებლები, მღვდლები, უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებში კურს-დამთავრებულნი ადგილობრივი მცხოვრებლები, რომელთაც ნათლადა აქვთ წარმოდგენილი, თუ ჩვენს დაქვეითებულს მეურნეობას რა გავლენა აქვს ჩვენის საზოგადოების მოთხოვნილებაზედ, რომელსაც, გარდა მეურნეობისა, მოსპობილი აქვს ყოველ გვარი წყარო არსებობისა. ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ კომიტეტი და მისი დიდად შეგნებული წევრები არ დაიშურებენ არავითარს ღონისძიებას, რომ რაც შეიძლება წინ წასწიონ ადგილობრივი ფრინველების მდგომარეობა და ამით საზოგადოებას მოუპოვონ ისეთი წყარო დაქვეითებულ ნივთიერ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, როგორიც მეაბრეშუმეობაში ნახა ჩვენმა ხალხმა. მით უფრო ადვილი შესაძლებელია, რომ კომიტეტს მუდამ გვერდით ჰყავს ქუთაისის სამეურნეო ფრინველების საზოგადოება და ისეთი სასპატიო წევრები, რომლებიც ყოველს შემთხვევაში კომიტეტის წევრებს დიდს შემწეობას აღმოუჩენენ. უპირველესი იარაღი ფრინველთა მოვლა მოშენების გავრცელებისა არის ის, რომ მოწაფეებს გულში ფრინველების სიყვარული ჩაუნერგოს და დარწმუნებულნი ვართ, რომ მიზანიც კომიტეტის დაარსებისა და საფრინველოს აშენებისა ხობის სასწავლებელთან სწორედ ეს არის. მალე, წელს ან გაისად, ქუთაისის განყოფილება შეუდგება ამნაირ კომიტეტების შედგენას სენაკისა და ოზურგეთის მაზრებშიაც, რითაც, ეჭვი არ არის, საქმე დიდად წინ წაიწევს ქუთაისის გუბერნიაში. ვუსურვებთ განყოფილებასა და მის ნორჩს კომიტეტებს, რომ თვისი აზრი მალე შეასრულებინოთ.

ნ. მკურნალი

უცხოეთი

ჩინეთი. ჩინეთის საქმეების გამო, რომ სახელმწიფოთა შორის თანხმობა არ არსებობს, ამას საზღვარ-გარეთული ზოგიერთი ოფიციალური გაზეთებიც მოწმობენ. აი, მაგალითად, რასა სწერს ერთი გავლენიანი გერმანული გაზეთი: „დიპლომატიურ მანიფესტებში ხშირადაა ხოლმე ლაპარაკი სახელმწიფოთა ერთობისა და თანხმობის შესახებ. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ერთობა მარტო ქაღალდზეა და დიპლომატთა ოცნებას შეადგენს. ნამდვილად-კი სახელმწიფოთა შორის უთანხმოებაა. ჯერ უთანხმოება ჯარის გაყვანის გამო ჩამოვარდა. ეხლა კიდევ სალაპარაკოდ გერმანიის წინადადება შეიქმნა. პირველ შემთხვევაში რუსეთი გადგა განზედ, მეორეში — ამერიკა. ყველა ამის გამო ვფიქრობთ, რომ გრაფი ვალდერზეე ვერ მიაღწევს მიზანს და ვერ დაამყარებს მშვიდობიანობას შორეულ აღმოსავლეთში".

— გერმანიის ელჩად ნამყოფი ჩინეთში ბრანდტი ძალიანა ჰკიცხავს ევროპის სახელმწიფოებს და ამბობს, რომ ეს სახელმწიფონი მეტად უსამართლოდ იქცევიან შორეულ აღმოსავლეთში. გერმანელებმა გადასწყვიტეს, სწერს ბრანდტი, სიკვდილით დასაჯონ ყველა დამნაშავე ჩინელი. ჩვენის აზრით, ესეთი მოქმედება იმ ჩინელთა მიმართ, რომელნიც თავიანთ სამშობლოს, მიწა-წყალს იცავენ, უკანონობა, უსამართლობაა. არ ინდობენ ევროპიელნი უიარაღო ჩინელებს და ის-კი ავიწყდებათ, რომ ასეთი პოლიტიკა, ასეთი მტარვალობა მეტის სიძულვილით აღავსებს ჩინელის გულსაო. ჩინელები გინდაც რომ დამარცხდნენ, არ დაივიწყებენ ევროპიელთაგან მიყენებულ შეურაცხებას და ერთხელაც იქმნება გადაუხდიან სამაგიეროს „უცხო ქვეყნელ ეშმაკებსაო".

— ამ ბოლოს დროს მოკავშირენი ძალიან დააფიქრიანა ჩინეთის ფლოტმა. ხეირიანად არც-კი იციან, სად არის ეს ფლოტი და რა განზრახვა აქვს. შანჰაიში მყოფი გემები ძალიან საეჭვოდ იქცევიან. რამდენიმე გემი შანჰაის ნავთსადგურიდგან სადღაც წავიდა. ამას გარდა ჩინელები კარგა ხანაა სამხედრო გემების შეიარაღებასაც შეუდგნენ თურმე. მოკავშირეთა ფლოტის უფროსებს თათბირზედ დაუდგენიათ, თუ შეამჩნიეს მტრული მოქმედება ჩინეთის გემებს, ყუმბარები დაუშინონ ნავთ-სადგურებს, განსაკუთრებით-კი განტონსა და ფუჯოუს.

— შანჰაიდგან ატყობინებენ ბრიუსელში, რომ ჩინეთის სახელმწიფო საბჭომ, პრინცის ტუანის გავლენით, რომელიც ამას წინად იქმნა დანიშნული საბჭოს თავმჯდომარედ, გამოუცხადა სახელმწიფოებს, თუ იმპერატრიცის გადაყენებასა, პრინცისასა და უმაღლესის მოხელეთა დასჯას მოითხოვთ, ომს გამოგიცხადებთო. საბჭომ ამას გარდა გენერალი ტუ-ფუ შიანი მთელის ჩინეთის ჯარის მთავარ-სარდლად დანიშნა. თუ ომი მოხდა, გრაფ ვალდერზეეს ეს გენერალი შეებმება.

ჟურნალ-გაზეთებიდან

(ამოკრეფილი ამბები)

ერთ ფრანგულ ჟურნალში დაბეჭდილია საინტერესო ცნობები პურის წლევანდელ მოსავლის შესახებ საფრანგეთში. როგორც ამ ჟურნალიდგანა სჩანს, წლევანდელი მოსავალი საფრანგეთისა 107.535,400 გექტოლიტრას (გექტოლიტრა — ორი კოდი იქმნება) შეადგენს. შარშან უფრო კარგი მოსავალი იყო — 129,005,500 გექტოლიტრა. წინანდელ მოსავალს გადარჩენილთან ერთად საფრანგეთს ეხლა სულ 128,300,00 გექტ. აქვს. სულ-კი წელიწადში ამ სახელმწიფოს უნდება 123.000,000 გექტოლიტრა.

* * *

საოცარის სისწრაფით მრავლდება მომხმარებელი საზოგადოებანი შვეიცარიაში. როგორც „Pet. Rep."-ი გადმოგვცემს, 1883 წელს შვეიცარიაში სულ 80 მომხმარებელი საზოგადოება იყო, რომელთაც 22,000 წევრი ჰყავდათ. დღეს-კი იქ 322 საზოგადოება და 117,597 წევრია. ყველაზედ დიდი მომხმარებელი საზოგადოება ბაზელშია; ამ საზოგადოებას 19,011 წევრი ჰყავს და 9,500,000 ფრანკის ვაჭრობა აქვს.

* * *

ბერლინში არსებობს ჰუმბოლტის სახელობის აკადემია. ამას წინად ამ აკადემიის დოცენტად ფილოსოფიის დოქტორი ქ-ნი გილდეგარდ ვევტეიდერ-ციგლერი აურჩევიათ. წელს ეს ქალი წაიკითხავს აკადემიაში „კულტურის ისტორია მე-XI საუკუნის დასაწყისში". ქალის დანიშვნა უმაღლეს სასწავლებელში გერმანიისთვის პირველი მაგალითია.

* * *

მკითხველებმა უკვე უწყიან დეპეშებიდგან, რომ ამას წინად ჩრდილოეთიდგან დაბრუნდა ჰერცოგის აბრუცის ექსპედიცია, რომელიც ჩრდილოეთ პოლიუსისაკენ იყო წასული. ნორვეგიული გაზეთი „Verdens Gang."-ი დაწვრილებით ცნობებს გადმოგვცემს როგორც ჰერცოგისა, ისე იმის მგზავრობის შესახებ. „ჰერცოგს ცივს ქვეყნებში მგზავრობა ძალიან უყვარს, მოგვითხრობს გაზეთი. ჰერცოგი ოცის წლიდგანვე შეუდგა ალპების თოვლიან მთებში მგზავრობას. ხშირად მარტოდ-მარტო დადიოდა ხოლმე ამ მთებში, და არა ერთხელ განსაცდელიც მოელოდა თურმე. როდესაც ალპები მოიარა, ჰერცოგმა წმ. ელისეს მთაზედ განიზრახა ასვლა. ეს მთა ერთი უდიდესი უმწვერვალესთაგანია ჩრდილოეთ ამერიკაში. მთელი ხუთი თვე მოუნდა ახალგაზდა ჰერცოგი ამ საქმეს და ბოლოს მაინც ზევიდგან მოექცა ყინულითა და თოვლით შემოსილს მწვერვალს. იტალიაში დაბრუნებისას (ჰერცოგი იტალიელია) ჰერცოგმა შეადგინა პროექტი ჩრდილოეთ პოლიუსისაკენ მგზავრობისა. შემდეგ შეიძინა პატარა ნორვეგიელი გემი, 123 ძაღლი, დაიქირავა ოცი ზღვაოსანი და ამ ერთის წლის წინად, აგვისტოში, ნორვეგიიდგან ფრანც იოსების მიწისაკენ გაუდგა გზას. ფრანც იოსების ზემოდ ჰერცოგს ყინულის უზარმაზარი მინდვრები დახვდა. ყინულის მინდვრები არხებით იყო დაყოფილი და ჰერცოგის გემი ამ არხებს დაადგა. გემმა გაიარა იმ ქოხთან, სადაც 1895 წელს ნანსენმა და იოჰანსენმა ზამთარი გაატარეს. 9 აგვისტოს გემი ყინულებმა შეაჩერეს პრინც რუდოლფის კუნძულთან. მაშინვე საზამთროდ მზადებას შეუდგნენ, მაგრამ ამ დროს ექსპედიცია კინაღამ დაიღუპა. ყინულის უზარმაზარი მინდორი, რომელიც ამ დრომდე გაჩერებული იყო, მოულოდნელად შეინძრა, შეირყა და საოცარის ძალით გემს მიაწვა. ყველა მხრიდგან ყინულმა შეხრუკვით მოუჭირა გემს. გემი ცალ მხარეზედ გადაიხნიქა. ამავე დროს ერთ ადგილას გემი ისე დაზიანდა, რომ წყალმა დაიწყო შიგ დენა. მგზავრნი დიდად დაღონდნენ, მაგრამ სასო-წარკვეთილებას მაინც არ მიეცნენ: იმ დროს, როდესაც ერთი ნაწილი ზღვაოსანთა ბარგს ეზიდებოდა გემიდგან ყინულზედ, მეორე გემის გადარჩენას შეუდგა. დიდის წვალებისა და ტანჯვის შემდეგ, გემი სწორედ დააყენეს, მაგრამ შიგ შესულ წყალს ვერაფერი უშველეს. ამიტომ ყინულზედ კარვებში მოუხდათ ზამთრის გატარება. ზამთარი მეტად ცივი და სუსხიანი იყო. ხშირად ტერმომეტრი—47%-ს უჩვენებდა. მთელი ზამთარი პოლიუსისაკენ, როგორც ვუწყით, ღამეა ხოლმე; აი ამ დაუსრულებელმა სიბნელემ მოუწამლა სიცოცხლე მგზავრებს. ერთად-ერთ იმათ გასართობს თეთრ დათვზედ ნადირობა შეადგენდა. ერთხელ ასეთ ნადირობის დროს ჰერცოგს ორი თითი ისე გაეყინა, რომ იძულებული გახდა ექიმისთვის მოეკვეთინებინა. ბოლოს ღამე დასრულდა. 1900 წლის, 11 მარტს ექსპედიცია მარხილებით, რომლებშიაც ძაღლები იყო შებმული, ჩრდილოეთ პოლიუსისაკენ გაემართა. ქარავანი 13 კაცისა და რამდენიმე მარხილისაგან შესდგებოდა. თითო მარხილში რვა-რვა ძაღლი იყო შებმული. ქარავანი წვრილ-წვრილ რაზმებად იყო დაყოფილი. ორის დღის შემდეგ ერთი რაზმი უკან დაბრუნდა, ათის დღის შემდეგ მეორე რაზმმაც იბრუნა პირი. საუბედუროდ ამ რაზმმა ვეღარ მიაღწია გემამდე: იგი სადღაც უკვალოდ დაიღუპა. ჰერცოგიც იძულებული იყო ხელის ტკივილისაგან უკან დაბრუნებულიყო. არ დაბრუნდა და პოლიუსისაკენ განაგრძო გზა მხოლოდ კაპიტანმა კანიიმ და იმისმა სამმა თანამგზავრმა. ბოლოს ამათაც მოუხდათ მობრუნება, რადგან საგძალი აღარ მოეპოვებოდათ. ორის კვირის განმავლობაში ეს ოთხი კაცი მხოლოდ ძაღლის ხორცით იკვებებოდა. დიდის ტანჯვის შემდეგ 23 ივნისს კანიი ჰერცოგს შეუერთდა. კანიიმ 86°,33 მალე მიაღწია. გზაში მიწა არსად არ შეხვედრია. სულ ყინული და მხოლოდ ყინული იყო. ვერც ანდრეს ექსპედიციის კვალი ნახა სადმე. კანიიმ თან 100 ძაღლი წაიყვანა და მხოლოდ ექვსი ძაღლითღა დაბრუნდა. ბოლოს ყველანი გემის შეკეთებას შეუდგნენ და ნორვეგიისაკენ გამოემართნენ."

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

19 სექტემბერი

პეტერბურგი. ესაულის ფადდეევის უფროსობით 6 სექტემბერს ომოსიდგან ხუნჩუნის გზით გაგზავნილი არგუნის ყაზახთა რაზმის ასეული, რომელიც პოლკოვნიკის ორლოვის ხუნჩუნის რაზმს უნდა შეერთებოდა, ხარბალინის უღელტეხილზედ გადასვლის დროს 2,500 კაცისაგან შემდგარს ჩინეთის რაზმს შეხვდა. ყაზახებმა ჩინელთა რაზმი სრულიად დაამარცხეს; წაართვეს ექვსი დროშა, ექვსი ზარბაზანი და სამხედრო სურსათი. ჩინელებს დიდი ზარალი მოუვიდათ და გაიქცნენ. ჩვენ მხოლოდ ორი ცხენი მოგვიკლეს.

ბერლინი. „Norddentshe Allgemeine Zeitung"-ი იუწყება, რომ გერმანიის იმპერატორმა ჩინეთის იმპერატორისაგან შემდეგი დეპეშა მიიღო: „მისი უდიდებულესობა ჩინეთის იმპერატორი მისს უდიდებულესობას გერმანიის იმპერატორს სალამს უძღვნის. ჩვენ უკვე გამოვთქვით ჩვენი სინანული და მწუხარება, რომ ელჩი კეტტელერი ჩინეთში უცბად ატეხილ ამბოხების მსხვერპლად შეიქმნა, რასაც ჩვენმა მოხელეებმა წინააღმდეგობა ველარ გაუწიეს და რომლის შემდეგაც ჩვენი მეგობრული დამოკიდებულება დაირღვა. ჩვენის ბრძანებით ამ დღის თარიღიდგან მივუწერთ, რომ განსვენებულის მოსახსენებლად საკურთხეველს ზედა შეწირულ იქმნას მსხვერპლი და დიდსა მდივანსაცა უნკონუს მივუწერთ მსხვერპლი შესწიროს. ჩვენს მოხელეებს, რომელნიცა ჩრდილო და

დამოები.

ქალწული უკვე ჩამოდიოდა მთიდგან და მიეჩქარებოდა ერთის რაღაც საოცარ ბაღის თეთრ ბჭის-კართან, რომლის მწვანეშიაც თეთრად გამოიცქირებოდნენ მაღალი სვეტები, ჯვრები და ქანდაკებანი. გასცდა რა ბჭის კარს, ქალწული შეუდგა ბალახით დაფენილ ბილიკით გორაკს. ამ გორაკზედ მოსჩანდნენ საფლავები თეთრ, ყვითელ, ან უბრალო ხის ნაცრის ფერ ჯვრებით. ბევრს ამისთანა საფლავსა და ჯვარს გასცდნენ. გორაკის წვერზედ ერთ მაღალ საფლავის წინაშე ქალწული შეჩერდა; ეს საფლავი მოკლებული იყო ბალახს, რადგანაც ნიადაგი თიხა-ქვიშიანი იყო. ღარიბი, ულამაზო საფლავი, უბრალო ხის ჯვრით... ძალზედ დაღონებული და დასუსტებული ქალწული დაეშვა მუხლებზედ და საფლავს ყვავილებით მორთვა დაუწყო. ვიწრო და სულთა-მხუთავ ადგილიდგან განთავისუფლებულმა ყვავილებმა ცოტა არ იყოს უკეთ იგრძნეს თავი თუმცა ქვიშიან და მცენარეულობას მოკლებულ, მაგრამ მაინც მშობელ მიწაზედ.

ჩვენმა იამ, რომელიც აქამდის მოკლებული იყო სინათლეს და ჰაერს, რაკი თავი დააღწია სივიწროვეს, თავისუფლად ამოისუნთქა და ჩააშტერდა ქალწულს, რომელიც ამ დროს დაჩოქილი იყო და წინ გაეშვირა დასუსტებული და დაღლილი ხელები. იამ დაინახა იგივ მკრთალი სახე ქალწულისა და გაჰკვირდა, როდესაც მას თვალებში შეჰხედა: თვალებს ეხლა სრულიად სხვა გამომეტყველება ჰქონდათ: იგინი ემსგავსებოდნენ არა მოწმენდილ მტრედის ფერ ცას, როგორც წინად, არამედ ცას, მოცულს შავის ღრუბლებით, რომელშიაც ეს-ეს არის ელვას დაიწყებს ხოლმე და შემდეგ ქარიშხალი ასტყდება და კოკის პირული წვიმა წამოვა. ქალწულს სუნთქვა უძნელდებოდა, სახე თან და თან უფითრდებოდა. სადა ხართ თქვენ, ცვარნო, საყვარელნო, ნათელნო ცვარნო, რომელნიც ამშვენებდით ამ ფერ-მკრთალ სახეს? სად მიიმალენით? საჩქაროდ, საჩქაროდ გამოჩნდით, ამ მშვენიერს თვალებში გაჰფანტეთ ეს შავი ღრუბლები, გაანათეთ, გაალამაზეთ მკრთალი სახე, გაჰხსენით ეს წვრილი კუპრივით შავი წარბები! ჩქარა, ჩქარა!..

ია გამოუთქმელის მოუთმენლობით მოელოდა ციურ ცვარის ჩამოვარდნას და კანკალით მისჩერებოდა ქალწულს თვალებში... სხვა ყვავილები უპატრონოთ და მშვიდად ეწყვენ და ისევე, როგორც ჩვენი ია, ცვარს მოელოდნენ, მაგრამ ქალწულის თვალიდგან გადმონადენს კი არა, არამედ ზეციდგან, საიდგანაც ჩვეულ იყვნენ.

ღონე-მიხდილნი, ტანჯულნი, ძალზედ მწყურვალნი, იცოდნენ რა, რომ უწყალოდ წუთი-სოფელს მალე გამოესალმებოდნენ, უცდიდნენ ციურს ცვარს და დიდის იმედით მისჩერებოდნენ ზეცას, სადაც მზე ჯერ კიდევ მაღლა იდგა და თითქოს ამბობდა, რომ ის საათი, როდესაც ცვარნი ჩამოცვივიან, ჯერ კიდევ შორს არისო.

ამასობაში ჩვენს იას ბედმა გაუღიმა და ეღირსა, რასაც მოუთმენლად ელოდა. ქალწულის თვალებში კვლავ იელვა ღვთაებრივის ნათელით ბრჭყვიალა ცვარმა, მთლად შესცვალა მისი სახე და საკვირველი, ზეციური სილამაზე მოჰფინა. ქალწულმა სუსტად დაიქვითინა, მიიფარა სახეზედ ხელები, წაიბორძიკა და უძლურად დააყრდნო თავი თვის მიერვე მოტანილ ყვავილებს. კვლავ გაისმა ქვითინი და ლამაზი, მოზრდილი ცვარი ჩამოგორდა გაფითრებულ ლოყაზედ. ყველა იებმა ხარბად მიუშვირეს თავები, მაგრამ მან კარგად იცოდა, სადაც დაცემულიყო... იქ იყო ერთი საწყალი, ნაზი ია, რომელსაც ყველაზედ დიდი სურვილი ჰქონდა მისი; ვედრებითა და თრთოლვით გადუშალა იამ თვისი სუსტი ფოთლები და უდიდესი და უბრწყინვალესი ციური ცვარი მისს სუნნელოვან მკერდში ჩაჰკორდა.

აღტაცებული და მეტის-მეტის ბედნიერებით აკანკალებული ია სჩქარობდა დაეფარა თავისი ძვირფასი საგანი ფოთლებით ისე, რომ თვალთათვის უჩინრად ექცია. მას ჰსურდა, რომ არავის დაენახა მისი საუნჯე, მისი წმიდათა-წმიდა, რადგანაც ისე დიდხანს ელოდდა მას, იმდენი იტანჯა მისთვის, რომ მარტო იმას ერთსა ჰქონდა ამისი ნება. იას დაავიწყდა ყველაფერი და ბედნიერებით ისე იყო დამთვრალი, რომ ველარ ამჩნევდა, როდესაც მისი საყვარელი ცვარები ცვიოდნენ და ცვიოდნენ ყვავილებზედ თავიანთის საოცარ წყაროდგან; ყვავილები ხარბად იწვდიდნენ მათკენ თავებს. ქალწულის მთელი სხეული თრთოდა, მკერდიდგან ამოხდებოდა ხოლმე ქვითინი და სიტყვები, რომელთა მნიშვნელობაც ყვავილებს არ ესმოდათ... მარტო ერთი სიტყვა დაიხსომეს მათ, ისიც იმიტომ, რომ ქალწული მას ხშირად იმეორებდა. ეს სიტყვა იყო: „მომიტევე! მომიტევეო"!..

ვანო გიუნაშვილი

(დასასრული იქმნება)

სამხრეთ ნავთ სადგურებში ვაჭრობას თვალს ადევნებენ, ვუბრძანეთ ყოველივე ღონისძიება მიიღონ, რომ გვამი მისი სამშობლოში იქმნეს გადატანილი. ხოლო როდესაც კუბოს გერმანიაში მოასვენებენ, მიუწერთ კვალად შესწირონ მეორე მსხვერპლი, რის შესრულებაცა დავავალეთ ფინანსთა სამინისტროს ვიცე-პრეზიდენტს ლუნ-ხაი-ხუანს. ამით ვაცხადებთ ჩვენს მწუხარებას და ხსენებას განსვენებულისას. ჩინეთს მუდამ მეგობრული დამოკიდებულება ჰქონდა გერმანიასთან; ამისათვის დიდი იმედი გვაქვს, რომ თქვენ, თქვენო უდიდებულესობავ, ყოვლისა უპირველეს დააფასებთ იმას, თუ რა დიდი საერთო ინტერესები აქვს ჩინეთსა და გარეშე სახელმწიფოთ და ყოველგვარს რისხვაზედ უარს იტყვით, რომ ამით საშუალება მოგვეცეს ადრე და მალე მშვიდობიანობა ჩამოვარდეს და ამასთანავე სამუდამოდ ჩვენ შორის თანხმობა დამყარდეს. ეს არის ჩვენი მხურვალე იმედი და სურვილი“.

იმპერატორმა ვილჰელმმა 17 სექტემბერს შემდეგი საპასუხო დეპეშა გაუგზავნა: „ჩინეთის იმპერატორს. მე, გერმანიის იმპერატორმა მივიღე დეპეშა მისის უდიდებულესობის ჩინეთის იმპერატორისა და სიამოვნებით ვსცანი აქედგან, რომ თქვენი უდიდებულესობა თანხმად თქვენის სარწმუნოებრივ ჩვეულებათა და საღმრთო წერილობათა, სცდილობთ გამოისყიდოთ სამარცხვინო მკვლელობა ჩემის ელჩისა, რომელი მკვლელობაც დიდი გასასაცილოება იყო მთლად კულტურისა; მაგრამ მე, როგორც გერმანიის იმპერატორსა და ქრისტიანს, არ შემიძლიან ეგ მსხვერპლთ-შეწირვა ამგვარ დანაშაულობისათვის ღირსეულ დაკმაყოფილებადა ვსცნო. ჩემ მოკლულ ელჩთან ერთად ღვთისა წინაშე წარსდგა მრავალი სხვა ჩვენი ქრისტიანე მოძმე — ეპისკოპოსნი, მისსიონერნი, დედაკაცნი, ბავშვნი. თავისის სარწმუნოების გულისათვის, რომელიც იმავე დროს ჩემიც არის, იგინი ტანჯვა-წამებით იქმნენ ძალად დახოცილნი და ზეცათა შინა თქვენს უდიდებულესობასა სდებენ ბრალს. ნუ-თუ თქვენის უდიდებულესობის მიერ ნაბრძანები მსხვერპლის შეწირვაა ღირსეული საზღაური ამდენს უბრალო მსხვერპლში? მე პირადად თქვენს უდიდებულესობას არ ვაკისრებ პასუხის-მგებლობას არც იმ უსამართლოობისათვის, რომელიც საელჩოთა წინააღმდეგ იქმნა ჩადენილი, საელჩოთა, რომლებიც ყველა ერისაგან ხელშეუხებლად არიან აღიარებულნი, არც იმ დიდი შეურაცხყოფისათვის, რომელიც ამდენს ეროვნებას, სხვა და-სხვა სარწმუნოებასა და თქვენის უდიდებულესობის ქვეშევრდომთ, სარწმუნოებით ქრისტიანეთ, მიადგათ, მაგრამ თქვენის უდიდებულესობის ტახტის ვეზირთ და მოხელეთ-კი, რომელთაც ამ დანაშაულობაში ბრალი ედებათ და რომელმა დანაშაულობამაც მთლად საქრისტიანო ერნი შიშით შეჰზარა, უთუოდ ღირსეული პასუხი უნდა აგონ ამ სამარცხვინო მოქმედებისათვის და თუ რომ, თქვენო უდიდებულესობავ, ინებებთ და დასჯით დამნაშავეთ, მაშინ ამას მეც ღირსეულ საზღაურადა ვცნობ და ყველა ქრისტეან ერებსაც დააკმაყოფილებს იგი. გსურთ, თქვენო უდიდებულესობავ, ხელი მოაწეროთ ამას და შემდეგ საქმეში ჩარეულ ყველა ერების წარმომადგენლების დახმარებაც მიიღოთ? მე ჩემის მხრივ ვაცხადებ, რომ დაკმაყოფილებული ვიქმნები და თქვენის უდიდებულესობის პეკინში დაბრუნებას სიამოვნებით შევეგებები. ამ აზრით ჩემი გენერალ-ფელდმარშალი გრაფი ვალდერზეე ბრძანებას მიიღებს არამც თუ იმის შესახებ, რომ თქვენს უდიდებულესობას თქვენის ღირსებისამებრ შეეგებოს, არამედ იმის შესახებაც, რომ თქვენს უდიდებულესობას სამხედრო დარაჯი დაუყენოს, როგორც-კი თქვენვე მოისურვებთ და როგორიც-კი, შეიძლება, საჭიროც იყოს თქვენთვის მეამბოხეთა წინააღმდეგ. მეც მწყურის მშვიდობიანობა ისეთი, რომელსაც შეეძლება დანაშაულობა გამოისყიდოს, ჩადენილი უსამართლობა დაჰგმოს, გასდევნოს და ყველა უცხოელის სიცოცხლე და ქონება უზრუნველ-ყოფილ ჰქმნას, განსაკუთრებით კი თავისუფლება სირწმუნოებისა. ვილჰელმი“.

ტაკუ. პაოტინფუს ექსპედიცია 23 სექტემბრამდის იქმნა გადადებული. ყველა ჯარები, რომლებიც-კი ამ ექსპედიციაში მიიღებენ მონაწილეობას, პეკინიდგან გენერალის გეზლის უფროსობის ქვეშ იქმნებიან. ტიანძინის ჯარებს გერმანელი გენერალი გაუწევს უფროსობას.

მანილლაში დაუყოვნებლივ მიმავალ ამერიკის ჯარების რაოდენობა 4,000-დეა.

რუსებმა ტუნჯოუ დაიჭირეს; წინააღმდეგობა არავის გაუწევია. ჩინეთის გაზეთები იუწყებიან, რომ ლიხუნგჩანგი მალე შეუდგება პეჩილიის მეფის მოადგილის თანამდებობათა აღსრულებასაო; უცხოელთა წრეებში ეს ხმა დაუჯერებლად მიაჩნიათ.

პეტერბურგი. სატარიფო ბჭობის მეორე სხდომაზედ, რომელშიაც მინისტრის ამხნაგი კოვალევსკი იღებდა მონაწილეობას, სხვა-და-სხვა ადგილის წარმომადგენელთა შორის უთანხმოებამ იჩინა თავი; ერთნი იმ აზრისანი არიან, რომ ორგვარი ტარიფი იქმნეს შემოღებული — ფას ნაკლები საგარეოდ და ფას-მომატებული საშინაოდ; სხვანი შუამდგომლობენ, რომ აწ მომქმედი ტარიფი ისევ დატოვებულ იქმნეს, ხოლო დანარჩენნი იმასა თხოულობენ, რომ საგარეოდა და საშინაოდ ერთი ტარიფი იქმნეს, მხოლოდ აწ მომქმედთან შედარებით მომატებულ იქმნეს. პროფესსორმა პიხნოვმა მშვენიერი სიტყვა წარმოსთქვა და ის აზრი გაატარა, რომ შემდეგშიაც აწ მომქმედი ტარიფები იქმნეს დატოვებული. შემდეგს სხდომაზედ, ამ კითხვებს კენჭს უყრიან.

20 სექტემბერი

პეკინი. გენერალი გეპნერი გუშინ 2,000 ჯარის კაცითა და ერთის სამინდვრო ბატარეით მეამბოხეთა დასასჯელად წავიდა, რომელნიც საიმპერატორო ბაღის ჩრდილო ნაწილში გამოჩნდნენ, რადგანაც წინა დღეს დამზვერს რაზმს თავს დაესხნენ ამ ადგილას. ნემენცებმა რამდენსამე სოფელს ცეცხლი წაუკიდეს, სადაც ჩინელებს იარაღი ჰქონდათ შენახული. ამათ პან-ხუნ-მენამდის მიაღწიეს და ქალაქს გარეთ „დიდის მუშტის“ ჯარებს წააწყდნენ; მცირე ბრძოლის შემდეგ „დიდი მუშტი“ სრულიად დამარცხებულ იქმნა. მტრის ჯარს თოფები და ხანჯლები ჰქონდათ; ზოგიერთი ჩინელი ჯარის-კაცები ოც ნაბიჯზედ მიუახლოვდნენ გერმანელთა ჯარს და დახოცილ იქმნენ; ნემენცებს ოთხი კაცი დაუჭრეს.

შანხაი. იმპერატორის ბრძანებით 1-ლ სექტემბრიდგან შანხაის გუბერნატორი იუესიენი დ თხოვნილ იქმნა თანამდებობიდგან. გარდა ამისა ამ ბრძანებით რამდესამე კაცს, რომელთაც „დიდის მუშტის“ მოძრაობაში მონაწილეობა არ მიუღიათ, დიდი ადგილი მიეცათ.

◆

ახალი წიგნი

რედაქციამ მიიღო ქართული წიგნაკი, რომელშიაც მოთავსებულია „თავ განწირული ექიმი“, მოთხრობა დ. კამკამიძისა და „რჩეული ლექსები“ ახალგაზდა მწერლებისა, გამ. იმედაშვილის მიერ. წიგნაკი 63 გვერდს შეიცავს და ჰღირს 8 კაპეიკად.

◆

წერილი რედაქციის მიმართ

უღრმესს მადლობას ვსწირავ ჩემდა სასარგებლოდ ფულის შემომწირველს ოზურგეთის საზოგადოებას, რომლითგანაც თავისს ნაცნობ-ნათესავთა შორის მომიგროვეს და გადმომცეს ფულად: ანტონ მუჯირმა—12 მან., დ. ქარცივაძისამ—8 მან., ნინო ივანეს ასულმა ჯაყელმა—8 მან., მასწ. დავით ერქომაიშვილმა—7 მან. და 60 კ., ვერა ყარამანის ასულმა ცეცხლაძემ—7 მან., მასწ. ისააკ ბასილაიშვილმა—7 მან., ბ. შაქარიშვილმა—7 მან., მასწ. ირ. ღლონტმა—6 მან., მასწ. ლ. საბაიშვილმა—5 მან. და 10 კ., მელ. პეფხოძემ—5 მან., მზეხა ხუნდაძისამ—4 მან., ელ. ქარცივაძის ასულმა—3 მან., იესე კეჟაყმაძემ—3 მან. განსაკუთრებით გულწრფელს მადლობას ვუძღვნი ქ-ჟნა ელისაბედ იოსების ასულს ნაკაშიძესა და პელაგია ნიკოლოზის ასულს შერაშენიძეს, რომელთაც ჩემის გულისათვის თავისს ნაცნობ-ნათესავები მოიარეს და შეჰკრიბეს ჩემდა გადმოსაცემად, პირველმა—28 მან., ხოლო მეორემ—27 მან., სულ აღნიშნულ კეთილისმყოფელთაგან მივიღე 55 მან.

იურიევის უნივერსიტეტის სტუდენტი
იასონ მუჯირი

—

გულითადს მადლობას ვუძღვნი გენერლის მეუღლეს ასტაფიევისას, კნ. მელიქოვისას და ი. ემელიანოვს, რომელთაც 50 მან. გამომიგზავნეს დ. ბორჯომიდგან.

სტუდ. ა. ნადირაძე

ქ. იურიევი

◆

სასამართლოს ცნობები.

ტფილისის სამოსამართლო პალატაში შემდეგი საქმეებია განსახილველად დანიშნული.

პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტში:

23 სექტემბერს

დუტუ კირშბაიასი, რომელსაც ცხენის ქურდობა ბრალდება.

ნიკოლოზ კაჩიშვილისა, ქურდობის ჩადენა ბრალდება.

25 სექტემბერს

დავით მესხისა, რომელსაც მკვლელობის ჩადენა ბრალდება.

ზაქარია ჭელიძისა, მკვლელობის ჩადენა ბრალდება.

ეგნატე ტოტაძისა, რომელსაც მკვლელობის ჩადენა ბრალდება.

ალექსანდრე მარიამიძისა, რომელსაც კანატოვის ქალის გაუპატიურება ედება ბრალად.

◆

განცხადებანი

ახლად შეკეთებულს სახლში ქირით იძლევა

ხუთი მაღაზია
და ერთი დიდი სარდაფი

ყოველ-გვარის მოწყობილებით. ოლგას ქ. (Ольгинская) და წყნეთის ქუჩის კუთხე, სახლი № 2. პირობების შეტყობა ბარიათინსკის ქუჩაზედ შეიძლება, № 3.

(188—2—1)

წინამძღვარიანთ-კარის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლისავან

პირველ სექტემბრიდამ პირველ ოქტომბრამდე ამა წლისა წინამძღვარიანთ-კარის სასოფლო სამეურნეო სკოლაში მიიღებიან ჯანმრთელი ყმაწვილები, არა ნაკლებ ათის წლისა, ყველა წოდებისა, ეროვნებისა და სარწმუნეობისა.

ვისაც სურვილი აქვს სკოლაში ყმაწვილი მიაბაროს, იმან უნდა პირად, ანუ წერილით განუცხადოს თავისი სურვილი სკოლის მმართველს, ანუ მზრუნველს ილია ივანეს ძეს წინამძღვრიშვილს (ნოტარიუსი ქალაქ ტფილისში), წარმოადგინოს ყმაწვილის წლოვანების მოწმობა, სინოდის კანტორიდგან მიღებული, ან მღვდლისაგან მიცემული აღმოწერილობა წლოვანების წიგნიდგან, და იმ სკოლის მოწმობა, სადაც ბავშვს უწინ უსწავლია. გამოცდა ყმაწვილებისა მოსამზადებელ კლასის პირველ განყოფილებაში არ იქნება. მხოლოდ ვინც მოსამზადებელ კლასის დანარჩენ განყოფილებაში შესვლას მოინდომებს, იმას უნდა ჰქონდეს შესაფერი მომზადება და სწავლა.

სასწავლო სკოლის კურსს შეადგენს; 1) საღმრთო წერილი, 2) ქართული და რუსული ენები, 3) არითმეტიკა და პრაქტიკული გეომეტრია, 4) სამშობლოს შესწავლა, მოკლე გეოგრაფია რუსეთისა და საზოგადო მიმოხილვა ქვეყნებისა, 5) ბუნების მეცნიერება, 6) სამეურნეო საგნები: მიწის შემუშავება, მებაღობა, მებოსტნობა, ვაზის მოვლა-მოშენება, ღვინის დაყენება, საქონლისა და აბრეშუმის ჭიის მოვლა-მოშენება, მეფუტკრეობა და სასოფლო მეურნეობის ანგარიშის ცოდნა, 7) ხატვა, 8) საეკკლესიო და საერო გალობა, 9) სწავლა ხელოსნობისა: დურგლობისა, მჭედლობისა და ჩილინგრობისა (სლესარობისა).

სკოლაში ყმაწვილები უსასყიდლოდ მიიღებენ სწავლას და ყველა სასწავლო ნივთებს, მხოლოდ დედ-მამამ, ანუ იმათმა მოადგილემ უნდა ყმაწვილს სოფელში ბინა უშოვოს, ჩააცვას და დახუროს.

შორის მხრიდგან მოყვანილ ყმაწვილებისათვის სოფ. წინამძღვარიანთ-კარში გამართულია სკოლის ხარჯით 30 შეგირდისათვის სადგური. ყველა საქმეს ამ სადგურისას თვით სკოლის კრება განაგებს. თითო შეგირდის შესანახავად დანიშნულია თვეში შვიდი მანეთი. ყმაწვილს დილა-საღამოს მიეცემა სტაქანი ჩაი, ანუ რძე პურით და სწავლის შემდეგ სადილი, ორი კერძი: ხსნილში სახსნილო და მარხვაში სამარხვო. კვირაში ერთხელ ყმაწვილებს საცვალი გამოეცვლებათ.

ვისაც სურს მიაბაროს ყმაწვილი სკოლის სადგურში, იმან უნდა წარმოადგინოს წინათ მთელი წლის შესანახი ფული 84 მანეთი; უკეთუ შეგირდი წლის შესრულებამდე სადგურიდგან გავიდა, მაშინ ეს ფული უკან იმათ დედ-მამას აღარ დაუბრუნებათ და დარჩება სადგურის სასარგებლოდ.

ყმაწვილს უნდა ჰქონდეს რკინის საწოლი, ქვეშაგები, ექვსი ხელი საცვალი, პირსახოცები, ბალიშის პირები, ზეწრები და სამი ხელი სკოლისათვის დაწესებული ტანსაცმელი: ერთი საზამთრო და ორი საზაფხულო.

ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ 6 ოქტომბერს, ნაშუადღევის 12 საათზედ, გამგეობისავე თანადასწრებით, მოხდება

საჯარო ვაჭრობა,

რომელზედაც იჯარით გაიცემა მტკვარზედ, მუხრანის ქუჩასა და რიყეს შუა, გამართული ბორანი.

მსურველთ პირობანი შეუძლიანთ გასინჯონ გამგეობის მე 4 განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეს გარდა, 9 დგან 3 საათამდე.

(3—6.—1)

გამოვიდა და ისყიდება ძმ. თავართქილაძეების ახლად გამოცემული

ჩანგი

ამ უკანასკნელ გამოცემაში ჩამატებულია ლექსები, სცენები და შემდეგი დრამატიული თხზულებანი: 1) „დედა და შვილი“, ი. ჭავჭავაძისა; 2) „დაძმა“, ვ. გუნიასი; 3) „ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწილდენ“. 4) „დაკეტილ კარებთან“. 5) „ავაზაკები“, შილლერისა და „შეშლილის წერილები“, გოგოლიდამ.

აგრეთვე მივიღეთ ყველა ჩვენ მაღაზიებში დიდძალი ყოველგვარი

რვეულები

საუკეთესო ღირსებისა და სხვა-და-სხვა ფერისა (თვალისთვის დიდად სასარგებლო) ქაღალდებზედ დახაზული და მიუხედავათ ქაღალდის გაძვირებისა და მისის ღირსებისა, ჩვენ ვყიდით 100 ცალს თავისის საშრობი ქაღალდით, მხოლოდ 2 მან. 50 კაპ.

მსურველთ ნიმუშები გაეგზავნებათ უფასოდ. (10—6.—2)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 20 го Сентября 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. დროებითი რედაქტორი ვ. ა. სულხანიშვილი. გამომცემელი ილია ჭავჭავაძე